<u>რეზო კიკნაძე</u>

დაიბადა 1960 წელს თბილისში.

1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით.

1981 - 90 წლებში კერძოდ სწავლობდა კომპოზიციას მიხეილ შუღლიაშვილთან (1941-1996), მაშინდელი ქართული მუსიკალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთან.

1986 - 90 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპოზიციის ფაკულტეტზე ჯერ ოთარ თაქთაქიშვილის, მერე კი ნოდარ მამისაშვილის კლასში. ამავე ხანებში დაინტერესდა ქართული ტრადიციული მუსიკით, დაარსების დროიდან იყო ანჩისხატის მგალობელთა გუნდის წევრი.

1991 წელს მარიკა ლაფაურის მიწვევით და ლიანა ისაკაძის ფონდის სტიპენდიით წავიდა გერმანიაში, სადაც ლიუბეკის მუსუკის აკადემიაში ფრიდჰელმ დოელთან სწავლობდა კომპოზიციას, პარალელურად, 1993 წლიდან, დირკ რაითთან ელექტრონულ მუსიკას, და ასისტენტად მუშაობდა ელექტრონულ სტუდიაში.

1992 - 94 წლებში იყო ანსამბლ „nuova sonanza“-ს წევრი; თანამშრომლობდა იაპონურ-გერმანულ თანამედროვე ბალეტის თეატრთან "tatoeba - theatre dance grotesque“.

1998 – 2011 წლებში იყო ლიუბეკის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის დოცენტი (ელექტრონული კომპოზიცია)
1998 – 2011 წლებში იყო ლიუბეკის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი (საქსოფონი და იმპროვიზაცია)
2000 - 2005 წლებში თანამშრომლობდა თანამედროვე საბალეტო დასთან ‘TanzOrtNord”
2000 - 2003 წლებში მუშაობდა თავისუფალი იმპროვიზაციის ანსამბლში „resolution group“.
2011 წლიდან ხელმძღვანელობს იმპროვიცზაციის ანსამბლს „consilia“.

დღევანდელი საქმიანობა:

- კომპოზიტორი და შემსრულებელი
- კონცერტები ჯაზის, ახალი მუსიკის, თავისუფალი იმპროვიზაციის, ელექტროაკუსტიკური მუსიკის სხვადასხვა ანსაბლების შემადგენლობაში
- ერთობლივი პროექტები ხელევნების სხვა სფეროების წარმომადგენლებთან ერთად (ცეკვა, სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, თეატრი)
- ლექციები და მასტერკლასები ელქტროაკუსტიკურ მუსიკაში